

შ.პ.ს „ეი-ჯი“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ძირითადი საშუალებები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები



3. [Handwritten signature]

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)	შენიშვნა	2020	2019	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	44 386	51 500	62 885
არამატერიალური აქტივები	4	86 140	92 213	98 371
სულ გრძელვადიანი აქტივები		130 526	143 713	161 256
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	863 518	1 027 344	988 210
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	44 782	38 582	11 023
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	242 287	102 540	110 575
სულ მიმდინარე აქტივები		1 150 587	1 168 466	1 109 808
სულ აქტივები		1 281 113	1 312 179	1 271 064
კაპიტალი და ვალდებულებები				
გაუნაწილებელი მოგება		838 958	852 389	716 048
სულ კაპიტალი		838 958	852 389	716 048
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	8	5 614	2 737	41 448
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	436 541	457 053	513 568
სულ მიმდინარე ვალდებულებები		442 155	459 790	555 016
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1 281 113	1 312 179	1 271 064

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები	9	1 697 451	2 027 670
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებ	10	(1 029 615)	(1 195 429)
საერთო მოგება		667 835	832 240
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	11	(635 147)	(708 256)
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		(47 241)	(4 604)
საკურსო სხვაობის ზარალი		1 121	16 960
მოგება დაბეგვრამდე		(13 431)	136 341
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება		(13 431)	136 341

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	-	716 048	716 048
წლის მოგება	-	136 341	136 341
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	852 389	852 389



წლის მოგება	(13 431)	(13 431)
დივიდენდის განაწილება	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	838 958	838 958

3. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	101 521	25 522	200 636	327 679
შეძენა	-	417	1 994	2 411
გასვლა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	101 521	25 939	202 630	330 090
დაგროვილი ცვეთა	(26 141)	(20 083)	(154 575)	(200 799)
2019 წლის 31 დეკემბერი	(26 141)	(20 083)	(154 575)	(200 799)
წლის ცვეთის ხარჯი	(3 548)	(1 144)	(8 381)	(13 073)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	(29 689)	(21 227)	(162 955)	(213 872)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 31 დეკემბერი	75 380	5 439	46 061	126 880
2020 წლის 31 დეკემბერი	71 832	4 712	39 674	116 218

4. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	ლიცენზიები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	62 643	62 643
შეძენა	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	62 643	62 643
დაგროვილი ცვეთა	ლიცენზიები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	45 810	45 810
წლის ცვეთის ხარჯი	2 525	2 525
2020 წლის 31 დეკემბერი	48 335	48 335
ნეტო საბალანსო ღირებულება	ლიცენზიები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	16 833	16 833
2020 წლის 31 დეკემბერი	14 308	14 308

5. მარაგები

(ლარი)	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მზა პროდუქცია	863 518	1 027 344
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	-
სულ მარაგები	863 518	1 027 344



6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	44 782	38 582
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	44 782	38 582

7. ფული და ფულის ექვივალენტები

(ლარი)	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 919	991
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	240 368	101 549
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	242 287	102 540

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	436 541	457 053
საგადასახადო ვალდებულებები	5 614	2 737
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	442 155	459 790

9. შემოსავალი

(ლარი)	2020	2019
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	1 697 451	2 027 670
ამონაგები მომსახურებიდან	-	-
სულ შემოსავალი	1 697 451	2 027 670

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

(ლარი)	2020	2019
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1 029 615	1 195 429
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1 029 615	1 195 429

11. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

(ლარი)	2020	2019
შრომის ანაზღაურება	242 023	275 289
იჯარა	220 529	245 518
საგადასახადო ხარჯები	5 963	65 749
საპროცენტო ხარჯი	28 306	28 368
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	18 539	40 208
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	15 598	18 421
კომუნიკაციის ხარჯები	11 151	14 910
სხვა	93 038	19 793
სულ საერთო ადმინისტრაციული დანახარჯი	635 147	708 256
	0	(0)

12. ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური ვალდებულებები**

(ლარი)

2019 წლის ბოლოს მდგომარეობით

სესხები

სავაჭრო და სხვა
ვალდებულებები

457 053



2020 წლის ბოლოს მდგომარეობით

-

436 541

ფინანსური აქტივები

(ლარი)

2019 წლის ბოლოს მდგომარეობით

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით

ფული და ფულთან კავშირებული	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
102 540	38 582
242 287	44 782



3. [Signature]

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეი ჯი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი: 26.04.2011). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზ., №24, არასაცხოვრებელი ფართი № ა3. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ჭურჭლით და ავეჯით. კომპანიას საქონელი შემოაქვს იმპორტით იტალიიდან და ყიდის მხოლოდ საქართველოში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეი-ჯი“-ს (ს/კ 404896207) მიერ წარმოდგენილი 2019 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - „ანგარიშგება“) მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „მსს ფასს-ები“) შესაბამისად. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღივებო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).



3. [Handwritten signature]

სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით. საანგარიშგებო წელი (საანგარიშო პერიოდი) ემთხვევა კალენდარულ წელს.

წარდგენის ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას - ლარს.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.



[Handwritten signature]

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში)



[Handwritten signature]

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის (წარმოების) დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული, და აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში. გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, კომპანია არ ახდენს კონსიგნაციით რეალიზაციას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის

გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება.

სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია შემცირებადი ნაშთის მეთოდი.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით აღიარდება მომსახურების



2. [Signature]

ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება 15%-იანი ამორტიზაციის განაკვეთი. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგებაზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას. კომპანიას აქვს ფრანჩაიზინგი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად

მნიშვნელოვანი სადრიცხო განსჯა და განსუაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანიის სადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორს მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სადრიცხო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.



2. [Handwritten signature]

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 30 სექტემბერს.



2. [Handwritten signature]